

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრარული
AGRO NEWS
АГРО

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2016

ქურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კველიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკას ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)



შინაარსი

1 აგარული მეცნიერებანი
AGRICULTURAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) _____ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION
 METHODS _____ 13**

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემოგებაში ინვესტიციების
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია
 _____ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს _____ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის
 ანალიზის შედეგები _____ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს
 მდგომარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის
 პრობლემები _____ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე
 საძირე ვაზით _____ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა
 სამებრელოს რეგიონის პირობებში _____ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)
 აღმოსავლეთ საქართველოში _____ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების
 ხელოვნური დასენიანების შედეგები _____ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА _____ 59**



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ქანგვითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფიანების უნარი	72
Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლერობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მიქანიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION	128



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩაის 50%-იანი წყლიანი ემულსიის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე _____ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში _____ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში _____ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია _____ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში _____ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები _____ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით _____ 157

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვთმარეობა იმერეთის რეგიონში _____ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად _____ 169

3 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში _____ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა _____ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეშაბის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამდგომები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე _____ 186



4 **მულტიდისციპლინარული დარგები**
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

**Изоolda Хасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ
РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ _____ 195**

**სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-
რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში _____ 202**

**გიორგი ჯაბნიძე – აბრტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში _____ 207**

1 აგრონომიის მეცნიერება AGRICULTURAL SCIENCES АГРАРНЫЕ НАУКИ





**მეაბრეშუმეობაში ინვესტიციების დაბანდება – დარგის
 ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია**

გიორგი ნიკოლეიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი,
 ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო

ელგუჯა შაფაქიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
 ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიური
 დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, საქართველო

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, იგი ერის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუში და მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება იყო, მაგრამ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გავრცელებულმა დაავადებამ მთლიანად გაანადგურა მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა, რომლის აღდგენაც დღესაც დიდი პრობლემაა. მეაბრეშუმეობის ალორძინების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დარგში ადგილობრივი ინვესტიციების მოძიება და დაწერგვა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებას უნდა ეფუძნებოდეს. სტატიაში განხილულია ის ძირითადი მიმართულებები და საკითხები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის ღონისძიებებს.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელმაც წარმატებით გაუძლო ქვეყნის თხემეტ საუკუნოვანი ისტორიის მკაცრ ქარტეხილებს და გახდა ერის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუში, მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება, ფულადი შემოსავლის წყარო და მუდმივი ზრუნვის საგანი.

მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა.

საქართველოში გასული საუკუნის 60-იან წლებში მეაბრეშუმეობის სისტემაში წარმოებული იყო 4,0-4,5 ათასი ტონა ცოცხალი პარკი, 4,0-4,5 ტონა გრენი, 450-500 ტონა აბრეშუმის ხამი ძაფი, 4,5-5,0 მილიონი მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი და სხვა პროდუქცია, რომლის რეალიზაციით წარმატებით ივსებოდა ყველა დონის ბიუჯეტი.

სამწუხაროდ, სწორედ ამ ეტაპზე ქუთაისში, ხოლო შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში, გავრცელდა თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭე, რომელმაც გაანადგურა 15 მილიონ ძირზე მეტი ჯიშის თუთის მცენარე, რამაც სხვა სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად დარგის განადგურება გამოიწვია. დაიკარგა 15-16 ათასი სამუშაო ადგილი და 18 მილიონ მანეთამდე შემოსავალი, რამაც მეტად დააზარალა სოფლის მოსახლეობა.

საქართველოში, განადგურებული მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია - ალორძინების



საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოოპერირების საფუძველზე საკარმიდამო მეაბრეშუმეობის გამოცოცხლებას, ადგილობრივი გრენის წარმოების და სააბრეშუმო მრეწველობის აღდგენას (ჩამოყალიბებას), რაც საჭირო ინვესტიციების გარეშე ძნელად განსახორციელებელი იქნება.

მეაბრეშუმეობაში ინვესტიციების დაბანდება, მყარი უკუგების თვალსაზრისით მრავალი მიმართულებით შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ რამოდენიმე პრობლემაზე გავამახვილებთ ყურადღებას:

1. ინვესტიციების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა კულტურული მეაბრეშუმეობის დიდი ტრადიციების მქონე - ხონის რაიონი.

ხონი ყოველთვის გამოირჩეოდა მეაბრეშუმეობის მაღალი კულტურით, კარგად განვითარებული კუსტარული წარმოებით და სიახლეთა დანერგვით. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამდე, ხონში მოქმედებდა კარგად განვითარებული ძაფსახვევ-საგრები ქარხანა, მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგური და სხვა დაწესებულებები, რაც დღეისათვის განადგურებულია. მაგრამ ხონელთა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ მაინც შენარჩუნებულია (თუმცა დაყადაღებულია) ხონის მეთუთეობის მეურნეობის 30 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, მ.შ. 10 ჰა თუთის პლანტაცია და ყოფილი სასელექციო სადგურის შენობა-ნაგებობა, რაც კარგ სასტარტო პირობებს ქმნის დარგის აღორძინებისათვის. ჯერ კიდევ არიან ყოფილი მეაბრეშუმეობის სადგურის და პლასტმასის ქარხნის კვალიფიციური მუშები (სპეციალისტები), რომელთა დასაქმება შეიძლება პროფილის მიხედვით გრენის, ცახების, ლასტების და სხვა ინვენტარის დასამზადებელ საწარმოებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებულია უაღრესად საინტერესო “საინვესტიციო პროექტი მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში” 2025 წლამდე პერიოდისათვის, რამაც საყოველთაო ყურადღება და აღიარება დაიმსახურა (განსაკუთრებით ხონის რაიონის მოსახლეობაში) [1]. მასში განხილულია:

– მეთუთეობა - სათესი განყოფილება, თესლნერგების და ნერგების წარმოება, ნარგაობის (ერთეული პლანტაცია) გაშენება, ფოთლის წარმოება (სოფლების მიხედვით), თვითღირებულება, მოგება, რენტაბელობა და ა.შ.

– გაანგარიშებულია პარკის წარმოება, პირველადი დამუშავება, ხამი ძაფის ამოხვევა-რელიზაცია, შედეგები (მოგება, თვითღირებულება, რენტაბელობა) და სხვა მაჩვენებლები;

– ცალკეა წარმოდგენილი გრენის დამზადების შესაძლებლობა, (სასელექციო სადგურის აღდგენის შემთხვევაში) თვითღირებულება, მოგება და ა.შ. პროექტში წარმოდგენილია სხვა მაჩვენებლები, პარამეტრები და შესაბამისი დასკვნები. აღნიშნული საინვესტიციო პროექტის განხორციელებით (იგი სანიმუშოა სხვა რაიონებისათვისაც) ხონის მეთუთეობის მეურნეობა გახდება დარგის აღორძინებისა და მეცნიერული კვლევის აღიარებული კერა.



2. მეაბრეშუმეობაში საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ თუთის ნერგების გამოზრდის ყველა მეთოდი და მათ შორის საკუთარფესვიანიც. განსაკუთრებით საინტერესოა თერმული წყლით გამთბარ გრუნტში გამძლე თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება, საიდანაც მიღებული ნერგების გამოზრდის დრო ნამყენთან შედარებით მცირდება 2 წლით, ხოლო თვითღირებულება 2,5_3,0 ჯერ მცირდება [2,3].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებულია საინვესტიციო პროექტი “მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების საინვესტიციო პროექტი და კოოპერატივი "საჩინო" ვანის რაიონში”, რომელშიც ინვესტირების ერთ-ერთი მთავარი ობიექტია თუთის ნერგების წარმოება თერმული წყლით გამთბარ გრუნტში გამძლე თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმების დაფესვიანების შედეგად [4].

აღნიშნული მეთოდით, საკუთარფესვიანი ნერგის წარმოების სიმარტივე, და უაღრესად მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა მეტად ხელმისაწვდომია, როგორც მცირე მეწარმეებისათვის (5-10 ათასი ლარის ფარგლებში), ისე მსხვილი ინვესტორებისათვის (წარმოების მასშტაბის გათვალისწინებით).

3. თუთა-მეაბრეშუმეობის განვითარების საფუძველია. ამასთან, თუთა მრავალმიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით უპირველესია დედამიწაზე მცენარეთა შორის.

განვილით ათასწლეულში, თუთის უამრავი სასარგებლო თვისებაა შესწავლილი, მაგრამ, როგორც ირკვევა მისი შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებული წინადადება - შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან (ყლორტები, ტოტები) მეცხოველეობის არატრადიციული საკვების წარმოების მიზანშეწონილობისა და მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ [5].

აღნიშნული მეთოდი წარმატებით ინერგება ქედის რაიონის ფერმერულ მეურნეობებში, ხოლო მომავალში, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის შემთხვევაში მეაბრეშუმეობის ყველა რაიონში გავრცელდება. ამით, ხელი შეეწყობა, როგორც მეაბრეშუმეობის აღორძინების, ისე მეცხოველეობის (სახორცე მეფრინველეობა, სატბორე მეთევზეობა) არატრადიციული საკვების წარმოების გადიდებას, მცირე ბიზნესის გაჯანსაღებას და სოფლების მომძლავრებას.

4. ინვესტიციების რაციონალური გამოყენება შესაძლებელია ქართული მეაბრეშუმეობის ეტაპობრივი აღდგენისათვის, რისთვისაც სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად პირველ ეტაპზე საჭიროა მეაბრეშუმეობის შრომატევადი პროცესებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნოლოგიების დამუშავება და ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციების დამზადება, როგორცაა თუთის ექსპლუატაციის მანქანები და მოწყობილობები, თუთის ტოტებიდან ფოთლების გამცლელი და ფოთოლსაჭრელი მოწყობილობები, მარტივი ტიპის თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები დანადგარები ნაძირის საჭიე შენობის ფარგლებს გარეთ გატანით, აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისაგან საწმენდი მარტივი ტიპის მოწყობილობები, ნედლი აბრეშუმის პარკის ამოსახვევი მარტივი ტიპის დანადგარები და სხვა [6,7,8,9,10];



5. უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მიჩნეული უნდა იქნეს მეაბრეშუმეობის ამხანაგობების, კოოპერატივების, მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება, ინტეგრაციის გაღრმავება და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, რაშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ჩაბმული უნდა იყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაც.

სტატიაში განხილული საკითხების განხორციელებისათვის აუცილებელია ხელი-სუფლების მხარდაჭერა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ნათლად იგრძნობა, სადაც მუშავდება მეაბრეშუმეობის განვითარების პროგრამა და იქ ალბათ ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხებიც იქნება გათვალისწინებული. მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ქვეყნის ინტერესებისა და დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით უპირველესად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი ინვესტიციები, რისთვისაც მიზანშეწონილია ამ საკითხებზე კონსულტაციების მისაღებად გამოგვეხმარონ მეაბრეშუმეობის დარგით დაინტერესებული ყველა მეწარმე და ორგანიზაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, გ. ჯაფარიძე, თ. კუნჭულია, ნ. ბარამიძე, ე. ჭოლაძე - "მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში", საინვესტიციო პროექტი, სსმმ აკადემია, თბილისი, 2014;
2. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი - "თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის გამძლე ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა" რეკომენდაცია,
3. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი - ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ ღია გრუნტში თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა. ჟურნალი "ახალ აგრარულ საქართველოში", #12(44), 2014, გვ.28-30.
4. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, ვ. სანადირაძე - მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების საინვესტიციო პროექტი და კოოპერატივი "საჩინო" ვანის რაიონში, საინვესტიციო პროექტი, სსმმ აკადემია, თბილისი, 2016;
5. გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი - "შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიკური ეფექტიანობა", ჟურნალი "ახალი აგრარული საქართველო", #10(42), 2014, გვ. 32-34;
6. შაფაქიძე ე. თუთის ექსპლუატაციისათვის ხელის მოტორიზებული ტოტმჭრელის გამოცდის შედეგები. საქ. სსი შრომები, ტ.100,1977 წ. გვ.48-51.
7. შანიძე მ. ახალი მანქანა მეაბრეშუმეობაში. თბილისი, გამომც. "საქართველო", 1962;
8. შაფაქიძე ე. წოწკოლაური ე. ავეტიანი გ. თუთის აბრეშუმხვევის გამოსაკვები მოწყობილობა. საავტორო მოწმობა გამოგონებაზე #695667, ბიულეტ. #41, მოსკოვი, 1979 (რუსულ ენაზე);
9. Shapakidze E. "Serikulture mechanization in Georgia", Annals of Agrarian Science, Vol. #2,2008 y.
10. შაფაქიძე ე. წოწკოლაური ე. ქორჩილავა ი. ცენტრალიზებული გამოკვებისათვის ფოთოლსაჭრელი მანქანის მოდიფიცირებული ვარიანტის დამუშავება. საუ-ის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტომი 2, #4(49), თბილისი, 2009. გვ. 70-75.



INVESTING IN SILK PRODUCTION IS A SIGNIFICANT ASPECT OF BRANCH REVIVAL

Giorgi Nikoleishvili

C/Member of GAAS, Doctor of Economic Sciences, Professor, Tbilisi, Georgia

Elguja Shapakidze

Academician, Doctor of Technical Sciences, Professor, Head of Department GAAS, Tbilisi, Georgia

Summary

Sericulture, an ancient branch of Georgian agriculture, is a part of the nation's cultural heritage in which Georgian population was historically engaged. In the 1960s, as a result of disease spread in the mulberry plantations, the branch of sericulture was completely destroyed. One of the major problems is to find ways of investing in the industry of sericulture which will enable to implement modern technologies and create a solid foundation for its revival. The article focuses on the issues which will contribute to the rehabilitation of the branch in the whole country; among which are: restoration of sericulture in Khoni Region through investments for the recovery of forage base, management of centralized feeding of silkworm, implementation of modern technologies for production of Mulberry seedling in Vani Region; the use of autumn mulberry leaves and shoots as a nontraditional livestock forage. The project also envisages working out new technologies and technical means of mechanization to make heavy labor processes in sericulture - easier; The development of new forms of management, such as cooperatives, big farms, or communities, will play a significant role in the process of rehabilitation of the branch of sericulture; But all above said could possibly become true only through solid investments in the development of sericulture in Georgia.

ИНВЕСТИРОВАНИЕ В ШЕЛКОВОДСТВЕ – ЗНАЧИТЕЛЬНЫЙ ФАКТОР ВОЗРОЖДЕНИЯ ОТРАСЛИ

Николеишвили Гиоргий

Ч/корреспондент АСХН Грузии, Доктор экономических наук, Профессор, Тбилиси, Грузия

Шапакидзе Елгуджа

Академик АСХН Грузии, Доктор технических наук, Профессор, Начальник академического департамента АСХНГ, Тбилиси, Грузия

Резюме

Шелководство-древнейшая отрасль сельского хозяйства Грузии является образцом культурного наследия Нации, им массово занималось население Республики. Но из-за заболевания кормовой базы шелководства в 60-ые годы 20-ого столетия, почти полностью уничтожены тутовые насаждения, возрождение которых является проблемой на сегодняшний день. Основным фактором возрождения шелководства является поиск путей инвестирования отрасли, которое должно стать фундаментом внедрения современных технологий трудоемких процессов в шелководстве. В статье рассматриваются такие вопросы, которые способствуют реабилитации шелководства в целом в стране. Среди них: восстановление шелководства в Хонском районе Грузии путем инвестирования восстановления кормовой базы, проведения централизованной выкормки тутового шелкопряда и т.д.; осуществления современных технологии производства тутовых саженцев в Ванском районе Грузии; применение осенью тутовых листьев и побегов для заготовки нетрадиционного корма в животноводстве; разработка технологии и технических средств механизации трудоемких процессов в шелководстве; разработка новых форм хозяйствования (кооперативы, товарищества и др.) для возрождения шелководства путем вкладывания инвестиции в развитие отрасли.